დანართი

# მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმა

მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანები:

1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების მხარდაჭერა.
2. მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობის გეგმის შემუშავება.
3. გენდერზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინება მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.
4. გენდერული მიმართულებების დანერგვა-განხორციელება.
5. არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.
6. ქალთა თანაბარი წარმომადგენლობის ხელშეწყობა გადაწყვეტილებათა მიმღებ პოზიციებზე.
7. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება.
8. საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების უზრუნველყოფა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გენდერული პოლიტიკის გაძლიერებისთვის.
9. გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრებო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წამოწეული საკითხების შესწავლა.
10. ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
11. გენდერული თანასწორობის საკითხებზემომუშავე პასუხისმგებელ პირებთაბთან თანამშრომლობის გაძლიერება.

| ამოცანა | მიზანი/საქმიანობა | ინდიკატორი | შემსრულებელი | შესრულების ვადა | მოსალოდნელი შედეგი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერულ სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა. | 1.1 საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული გენდერულიი თანასწორობის სამოქმედო გეგმის გაცნობა. | 1.1.1 კონცეფცია განხილულ იქნას საბჭოს სხდომაზე. | მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. | 2022-2025 წწ. | თანამშრომლობის გაძლიერება. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2. დასაქმებაში გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინება ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. | 2.1 თვითმართველობებსა და შპს ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა გენდერული კვლევა. | 2.1.1 მუნიციპალიტეტში შემუშავებულ იქნას რეკომენდაციები გენდერული პრინციპების გათვალისწინებით. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო. | 2022-2025 წწ. | გენდერულად დაბალანსებული სტატისტიკის წარმოება. |
| 3. გენდერზე გათვალისწინებული მიდგომების მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. | 3.1 ქალთა უფლებების გაძლიერებისა, თანასწორობის უზრუნველყოფა.<br>3.2 ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის მხარდამჭერი ღონისძიებების გააქტიურება. | 3.1.1 გენდერული თამასწორობის საკითხები აისახოს მარტვილის მუნიციპალიტეტის სამართლებლივ აქტებში. | პასუხისმგებელი პირი გენდერულ საკითხებზე. | 2022-2025 წწ. | გენდერული მიმართულებების დანერგვა - განხორციელება. |
| 4. ადგილობრივ დონეზე ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. | 4.1 შესაძლებლობების გაზრდა ლიდერული პოზიციების დაკავებისთვის. | 4.1.1 ქალები აქტიურად მონაწილეობენ გადაწყველების მიღების პროცესში.<br>4.1.2 ქალები ახდენენ ზეგავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია.<br><br>მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო. | 2022-2025 წწ. | თანაბარი ხელმისაწვდომობა. |
| 5. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში. | 5.1 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე ბენებიციართა რაოდენობის აღრიცხვა. | 5.1.1 შეგროვდეს ინფორმაცია ქალებისა და მამაკაცების ძალადობის გამოვლენის ფაქტების შესახებ, განხორციელდეს მათი აღრიცხვა. | მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. | 2022-2025 წწ. | ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა და აღრიცხვის განხორციელება. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 6. მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვაში ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა. | 6.1 მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ საჯარო კონსულტაციების გამართვა. | 6.1.1 გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრებო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაცია. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია. | 2022-2025 წწ. | გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან მუშაობა. |
| 7. ძალადობაგანცდილ პირთა მხარდამჭერი პროგრამის შემუშავება და დაგეგმვა. | 7.1 გენდერული ძალადობის წინააღდეგ 16 დღიანი კამპანიის ორგანიზება. | 7.1.1 ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ჩატარებული ტრენინგები. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია. | 2022-2025 წწ. | ქალთა/ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის პროგრამების ეფექტური ღონისძიებების განხორციელება. |
| 8.არადისკრიმინაციული სამუშაო პირობების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტში. | 8.1 დაქირავებული მოხელისთვის (ქალი, კაცი)უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობა. | 8.1.1 მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმართველობა ზრუნავს დასაქმებულთა გენდერული ცოდნის ამაღლებაზე. | მარტვილის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო. | 2022-2025 წწ. | გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ხელშეწყობა. |
| 9. ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო მხარდაჭერა. | 9.1 ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო კვლევების/კონსულტაციის დაფინანსების სერვისის გააქტიურება. | 9.1.1 მოპოვებული ინფორმაცია დაავადებულთა შესახებ. იმ პაციენტების რაოდენობა, ვინც მიიღო დახმარება. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო. | 2022-2025 წწ. | ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე. |
| 10.ქალთა საერთაშორისო დღე. | 10.1 ღონისძიება ქალებისათვის. | 10.1.1 ორგანიზებულ იქნას ქალთა საერთაშორისო დღეს სხვადასხვა | მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და | 2022-2025 წწ. | ჩატარებული შეხვედრები. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ღონისძიებების გამართვა. | ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; პასუხისმგებელი პირი გენდერულ საკითხებზე. | | |
| 11. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერება. | 11.1 გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა. | 11.1.1 მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩამოყალიბებულია გენდერული თანასწორობის საბჭო. მუნიიციპალიტეტს ჰყავს გენდერულ საკითხებზე მომუშავე პირები. | პასუხისმგებელი პირი გენდერულ საკითხებზე. | 2022-2025 წწ. | ჩატარებული შეხვედრები. |
| 12. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მედიკამენტებით დახმარების სერვისის დანერგვა. | 12.1 მედიკამენტების დაფინანსება 200 ლარის ჩათვლით 100%-ით, წელიწადში 2-ჯერ. (გარდა ონკოლოგიური პაციენტებისა). | 12.1.1 მოპოვებული ინფორმაცია დაავადებულთა შესახებ გაწეული შესაბამისი მკურნალობა პაციენტთა რაოდენობა ვინც მიიღო მედიკამენტოზური მკურნალობა. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია | 2022-2025 წწ. | ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე. |
| 13. ქალთა/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამედიცინო კვლევის სერვისის დანერგვა. | 13.1 ქალთა/ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭირო კლინიკურ-ლაბორატორიული, მაღალი ტექნოლოგიური გამოკვლევებისა და სხვა აუცილებლობის შემთხვევაში თანადაფინანსება. | 13.1.1 ჩატარებული გამოკვლევები. გამოვლენილი ქირურგიული, ორთოპედიული თუ სხვა სახის დაავადებები. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია. | 2022-2025 წწ. | ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.1 ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა. | 14.1 ჯანდაცვის იმ სერვისებზე ხელმისაწვდომობა რომელიც არ არის გათვალისწინებული ცენტრალურ ბიუჯეტში. | 14.1.1 დაავადებულთა შესახებ ინფორმაციის მოპოვება და მათი შემდგომი მკურნალობა. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია. | 2022-2025 წწ. | სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა. |
| 15.1 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის არსებული რესურსების ფარგლებში. | 15.1 მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთლობაზე. | 15.1.1 ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და გენდერულად დაბალანსებული სოციალური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. | მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია;<br><br>მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო. | 2022-2025 წწ. | მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. დიაგნოსტიკისა და ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. |